# სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი“

საქმიანობის ანგარიში

2023 წელი

# საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა
- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა
- ელექტროენერგიის იმპორტ-ექსპორტი
- ახალი ელექტროსადგურების მშენებლობის ხელშეწყობა
- აღრიცხვის კონტროლი

# საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა

- საბალანსო ელექტროენერგიით ვაჭრობა ესკოს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად რჩება.

- 2023 წელს საბალანსო ელექტროენერგიის წილმა საბითუმო ვაჭრობაში შეადგინა 16.7%.



# ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲛᲝᲛᲬᲝᲓᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐᲨᲘ

ᲡᲐᲑᲐᲚᲐᲜᲡᲝ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲬᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ 2023 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲪᲮᲠᲘᲚᲨᲘ.

| ელექტროენერგიის გამყიდველები | 2023 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| ჰიდროელექტროსადგური | 1 564 666 889.2 | 63% |
| თბოელექტროსადგური | 827 757 494.9 | 33% |
| ქარის სადგური | 86 032 800.0 | 3% |
| იმპორტიორი | 13 449 642.8 | 1% |
| ჯამი | 2 491 906 826.9 | 100% |

ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგია, 2023 წელი




| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იმპორტიორი | 3.27 | 2.45 | 5.65 | 0.07 | 0.00 | 0.02 | 0.66 | 0.00 | 0.00 | 0.01 | 0.63 | 0.69 |
| ქარის ელექტროსადგური | 8.06 | 5.77 | 6.93 | 8.94 | 7.65 | 5.36 | 8.55 | 6.66 | 8.36 | 7.10 | 6.37 | 6.29 |
| ჰიდროელექტროსადგური | 68.52 | 63.08 | 259.10 | 294.69 | 123.11 | 93.08 | 106.58 | 104.44 | 113.54 | 94.91 | 96.42 | 147.21 |
| თბოელექტროსადგური | 163.91 | 150.85 | 42.51 | 0.02 | 0.86 | 1.72 | 7.86 | 8.87 | 13.31 | 162.71 | 125.15 | 149.99 |

# კვალიფიციური საწარმოების მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვაში

- 2023 წელს, ესკო-დან საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველები ძირითადად იყვნენ საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებლები, გამანაწილებელი ენერგოკომპანიები და პირდაპირი მომხმარებლები. ასევე, 2023 წელს, ტრანზიტის უზრუნველყოფის მიზნით, დანაკარგების შესყიდვა მოხდა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ, რომლის წილმაც, საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვაში 12.4% შეადგინა.
- საბალანსო ელექტროენერგიის მყიდველების წილობრივი მონაწილეობა ამ პერიოდისათვის მოცემულია ცხრილში.

| ელექტროენერგიის მყიდველები | 2023 წელი | |
|---|---|---|
| | კვტ.სთ | წილი, % |
| უნივერსალური მომსახურების მიმწოდებელი | 114 139 461.1 | 4.6% |
| საჯარო მომსახურების სახით ელექტროენერგიის მიმწოდებელი | 940 323 746.0 | 37.7% |
| პირდაპირი მომხმარებელი | 227 475 654.9 | 9.1% |
| გამანაწილებელი ენერგოკომპანია დანაკარგების შესყიდვის ნაწილში | 771 914 909.2 | 31.0% |
| ექსპორტიორი | 2 522 653.9 | 0.1% |
| სსე (გადამცემ ქსელში დანაკარგების დაფარვის უზრუნველყოფა) | 309 578 110.9 | 12.4% |
| სსე (ტრანზიტის დანაკარგების უზრუნველსაყოფად) | 68 998 824.2 | 2.8% |
| ესკო (ბაზრის წესების 49-ე მუხლი) | 56 953 466.7 | 2.3% |
| ჯამი | 2 491 906 826.9 | 100% |

# გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება

გასაყიდი საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის *საშუალო შეწონილი ფასით*

**2023 წელი**



# მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასი, 2023 წელი

მცირე სიმძლავრის დერეგულირებული ელექტროსადგურებისაგან ესკოს მიერ შესყიდული საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირება ხდება ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების 36-ე მუხლის მიხედვით.



# გარანტირებული სიმძლავრე

- ქვეყნის ერთიანი ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხო და საიმედო ფუნქციონირებას ემსახურება გარანტირებული სიმძლავრე.

- გარანტირებული სიმძლავრით ვაჭრობა ხდება მხოლოდ ესკოს მეშვეობით პირდაპირი ხელშეკრულების სტანდარტული პირობებით.

- გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველები არიან: გამანაწილებელი ენერგოკომპანია, პირდაპირი მომხმარებელი, ელექტროსადგური ექსპლუატაციაში მიღების მიზნით საცდელი გაშვებისა ან/და კომპლექსური გასინჯვის პერიოდში და ექსპორტიორი.

- გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმო ვალდებულია აანაზღაუროს გარანტირებული სიმძლავრის საფასური გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების ფაქტობრივ ჯამურ მოხმარებასა და ექსპორტში მისი ფაქტობრივი მოხმარების ან ექსპორტის წილის პროპორციულად.

# საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული გარანტირებული სიმძლავრის წყაროები და გარანტირებული სიმძლავრის მინიმალური ოდენობა, 2023 წელი




*გარანტირებული სიმძლავრის წყაროს და თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსთვის გარანტირებული სიმძლავრის მინიმალურ ოდენობას განსაზღვრავს საქართველოს მთავრობა.*

# გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ განსაზღვრული საფასური და უზრუნველყოფის პერიოდები

| აირტურბინული ელექტროსადგური | გარდაბნის თბოელექტროსადგური №3 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგური №4 ენერგობლოკი | გარდაბნის თბოელექტროსადგური №9 ენერგობლოკი | გარდაბნის კომბინირებული ელექტროსადგური |
|---|---|---|---|---|
| 41 106 ლარი/დღე | 21 757.00 (იანვ.-მარტი) / 24 681.00 (აპრ.-დეკ.) ლარი/დღე | 23 726.00 (იანვ.-მარტი) / 26 916.00 (აპრ.-დეკ.) ლარი/დღე | 70 962 ლარი/დღე | 357 521 ლარი/დღე |
| 335 დღე | 275 დღე | 275 დღე | 275 დღე | 307 დღე |

*თითოეული გარანტირებული სიმძლავრის წყაროსათვის გარანტირებული სიმძლავრის საფასურს დღიურ ბაზისზე და უზრუნველყოფის პერიოდებს ადგენს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია.*

*მარეგულირებელი კომისიის დადგენილების თანახმად, უზრუნველყოფის პერიოდები (დღეების რაოდენობა) გარანტირებული სიმძლავრის წყაროებისთვის განისაზღვრა 2023 წლის 1 იანვრიდან 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით (12 თვე), კალენდარული წლის საფუძველზე.*

# წყაროების მიერ უზრუნველყოფილ გარანტირებულ სიმძლავრეზე მიღებული თანხები, 2023 წელი

| # | კვალიფიციური საწარმო | 2023 წელი | |
|---|---|---|---|
| | | მზადყოფნის დღეები (ლარი) | სიმძლავრის საფასური (მლნ.ლარი) |
| 1 | შპს „ჯიფაუერი“ | 334 | 13 729 404.00 |
| 2 | შპს „,საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (თბილსრესის მე-3 ბლოკი) | 275 | 6 527 039.00 |
| 3 | შპს „საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (თბილსრესის მე-4 ბლოკი) | 275 | 7 117 990.00 |
| 4 | შპს „მტკვარი ენერჯი“ | 274 | 19 443 588.00 |
| 5 | შპს „გარდაბნის თბოსადგური“ | 303 | 108 328 863.00 |

# გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების შესყიდვის წილი მთლიან შესყიდვაში, 2023 წელი



# 2023 წელს განხორციელებული იმპორტი და ექსპორტი

გრაფიკი №1




- 2023 წელს, ფაქტიური განხორციელებული იმპორტიდან (602.407 მლნ კვტ.სთ) (გრაფიკი №1), ესკოს მიერ იმპორტირებულია 602.407 მლნ კვტ.სთ, რაც ფაქტიური იმპორტის 100% შეადგენს.

გრაფიკი №2




- 2023 წელს, ფაქტიური განხორციელებული ექსპორტიდან (1468.354 მლნ კვტ.სთ) (გრაფიკი №2), ესკოს მიერ ექსპორტირებულია 90.820 მლნ კვტ.სთ, რაც ფაქტიური ექსპორტის 6% შეადგენს.

WWW.ESCO.GE